Magister scholarium

უნივერსიტეტში პირველი კურსიდანვე (1951 წ.) რამდენიმე მეგობარი მოვხვდით ბ-ნი გრიგოლის ყურადღების არეში. ეს იმ ხანად არ იყო უბრალო ამბავი. ყურადღება ნიშნავდა გულწრფელ ურთიერთობას, გულახდილ დიალოგს, რაც იმ ხანად ბევრ არათუ პროფესორ-მასწავლებელთან, ამხანაგ სტუდენტთანაც კი ვერ ხერხდებოდა. ან როგორ უნდა მოგეთხოვა გულწრფელი დამოკიდებულება? სუფევდა გონივრული, წინდახედული დუმილი, როგორც თავისთავად ცხადი მოცემულობა, როგორც წესი ცხოვრებისა. დუმილის დასარღვევად საჭირო იყო ნდობა, ერთგვარი რისკიც, რომელიც ორმხრივ ინტუიციას მოითხოვდა. ჩვენი სტუდენტობის წლები (1951-1956) შედარებით "უძრაობის წლები" იყო. ჩავლილი იყო ერთი ტალღა რეპრესიებისა, რომელიც უკანასკნელი გამოდგა. თუმცა იმ ხანად ვერავინ იტყოდა, რომ ის უკანასკნელი იქნებოდა. სტუდენტებს აღარ იჭერდნენ, მაგრამ ამავე ხანაში მოხდა სამი ღვაწლმოსილი პროფესორის დარბევა, რომელშიც სტუდენტებიც ჩააბეს, ალაპარაკეს, ცხადია, რაიმე აშკარა ძალდატანების გარეშე (ასეთი იყო საბჭოთა დემოკრატია). მსურველნი ყოველთვის ჩნდებოდნენ. პარადოქსია, მაგრამ ასეთი სამარცხვინო ფაქტები სხვათათვის აღმზრდელობით მნიშვნელობას იძენდა. ასეთ ვითარებაში ვიზრდებოდით, ვსწავლობდით. ვმეგობრობდით იმ ადამიანებთან, ვის გულსა და გონებაში შეეძლო ჩვენს სიტყვას ფესვი მოეკიდებინა. ჩვენ გვქონდა სიტყვა. ვინ განგვიმტკიცებდა სიტყვას, რომელიც ჩვენ ცალ-ცალკე ჩვენ-ჩვენი დარბეული სახლებიდან წამოვიღეთ, დარბევა კი საუკეთესო აღმზრდელი იყო იმ ხანად? ამ სიტყვას ჩვენ ბ-ნი გრიგოლი განგვიმტკიცებდა, გვაიმედებდა, ახალ სიტყვას გვაშველებდა. როცა ბ-ნი გრიგოლი ხედავდა, რაც არცთუ ხშირად ხდებოდა, ჩვენს ზედმეტ სიახლოვეს ზოგიერთ პიროვნებასთან,

გვაფრთხილებდა, რომ ურთიერთობაში შორს არ შეგვეტოპა - მან ზოგიერთის შესახებ იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო გვცოდნოდა. ბ-ნი გრიგოლი გრძნობდა, რომ ჩვენ საბედისწერო პრობლემაზე უფრო მეტს ვფიქრობდით, ვიდრე ეს დასაშვები იყო. ინტენსიური ფიქრი არც ისე უხიფათო უნდა ყოფილიყო: შინაგანი გარეთ აღწევდა და ბ-ნი გრიგოლის მიმხვდურ მზერას არ გამოეპარებოდა. მით უფრო ვერ დაემალებოდა სხვა მიმხვდურების მოდარაჯე თვალს კარგახნით შეყოვნებულთა სილუეტები გვიანი ქუჩის კუთხეებში თუ გზაჯვარედინებზე. ის გრძნობდა პასუხისმგებლობას ამ ახალგაზრდების მიმართ, მაგრამ არ მოყვებოდა ბანალურ ჭკუის დარიგება-გაფრთხილებებს. მისი "ნოტაციები" იუმორი თუ მსუბუქი გაქილიკება იყო, რითაც ის რეალობაში აბრუნებდა მათ, თუმცა ამითვე დასტურს სცემდა მათ სულისკვეთებას.

უნივერსიტეტი თუ არის, თუ იყო "ერთიანობა მოძღვართა და მოწაფეთა" (უნივერსითას მაგისთრორუმ ეთ სცჰოლარიუმ), რაც გულისხმობს შემოქმედებით ურთიერთობას ამ ორ მხარეს შორის, რომელთაგან თითოეული პასუხისმგებელია მეორის წინაშე, ბ-ნი გრიგოლი მისი ერთი უკომპრომისო მესვეური იყო. მას ფესვი, ამას ვგრძნოდით, უნივერსიტეტის პირველ წლებში ჰქონდა გადგმული, იმ დასაბამიერ ხანაში, რომელსაც ჩვენი შეგნება საიდუმლო შარავანდში ხვევდა.

ბ-ნ გრიგოლის სახელთან დაკავშირებულია გასაბჭოებული უნივერსიტეტის კედლებს შორის მომხდარი უნიკალური შემთხვევა, როცა მისმა რექტორმა გამოიჩინა ნების სიმტკიცე და საკუთარი ხელით დასმული ბეჭდის წაშლას, რასაც მისგან დაჟინებით მოითხოვდნენ "ზევიდან", გადადგომა არჩია. ეს ბეჭედი ბ-ნი გრიგოლის სადოქტორო დისერტაციაზე იყო დასმული უნივერსიტეტის დიდი საბჭოს ერთხმა დასტურით, რომელსაც რექტორი ხელმძღვანელობდა. იმ დროისათვის ამ განუმეორებელი აქტის ჩამდენმა პროფესორმა ალექსანდრე ჯანელიძემ დაადასტურა, რომ იგი იყო უღალატო ხელისუფალი იმ კორპორაციისა, რომელიც ჭეშმარიტების სამსახურად არის მოწოდებული. მისი ერთი რაინდი ბ-ნი გრიგოლი იყო. რექტორი გადადგა. სხვამ,

ახლადდაყენებულმა, შეცვალა ბეჭედი, რადგან ძალა აღმართს ხნავდა. დამარცხდა გადამდგარი? არა, მან გაიმარჯვა. ამ გამარჯვებისთვის ის მომზადებული იყო თავისი წარმოშობით, აღზრდა-განათლებით, ღირსებით. დამარცხდა ბ-ნი გრიგოლი? არა, მან გაიმარჯვა. უხეში და მდაბიო ძალა თუ გჯაბნის, ეს დამარცხება არ არის. ბ-ნი გრიგოლიც მზად იყო ამ "დამარცხებისთვის" თავისი წარმოშობით, აღზრდა-განათლებით, ღირსებით შესაფერი თავისი რექტორისა. "მეცნიერება გადაცემით არ ისწავლება, მეცნიერების სწავლება მხოლოდ მაგალითით შეიძლება" - ასე მიმართავდა მომავალი რექტორი ოციანი წლების სტუდენტებს. მეცნიერებაში სწავლული მის უმაღლეს, არატრივიალურ აზრს დებდა. ჩვენ დავძენთ: მით უფრო ნაკლებად ზნეობრივი აქტები ისწავლება სიტყვიერი გადაცემით. ზნეობრივი აქტების სწავლება მხოლოდ ერთადერთით, რაც ნამდვილად შენ გეკუთვნის - საკუთარი ცხოვრებით შეიძლება.